ფოსტალიონი

მოსწავლეები ამოიკითხავენ სიტყვის ბარათებს და მასწავლებლის მითითებით აკვირდებიან სიტყვების სხვადასხვა მახასიათებელს.



კლასი: I- II

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფები.

რესურსი: მცირე ზომის სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- ერთი მოსწავლე ასრულებს ფოსტალიონის როლს. ის ურიგებს „წერილებს“ (თითო სიტყვის ბარათს) დანარჩენ მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია, ბარათები ისე დაუწყოს, რომ სიტყვები არ ჩანდეს.
- როცა ყველა „წერილი“ დარიგდება, თითოეული მოსწავლე მიმდევრობით კითხულობს თავის სიტყვას. ბარათის ამობრუნება დასაშვებია მხოლოდ წაკითხვის წინ.
- მასწავლებელი მოსწავლეებს იძახებს სიტყვის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. მაგ., გამოვიდნენ ის მოსწავლეები, რომელთა სიტყვებშიც არის ასო-ბგერა „ე“, ან რომელთა სიტყვაშიც სამი მარცვალია, ოთახის კართან დაჯგუფდნენ მოსწავლეები, რომელთა სიტყვაც იწყება ხმოვანზე და ა.შ.
- გამოძახებული მოსწავლეები კლასის წინ დგებიან მაღლა აწეული ბარათებით, რომ სხვებმაც წაიკითხონ მათი სიტყვები.